დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 23 კვირა, 14 დეკემბერი 1908 წ. № 23

გაზეთი „დროება“ ერთის წლით ღირს 7 მან., ნახევარი წლით—4 მან. 50 კაპ., ერთის თვით—90 კაპ., გაზეთის გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვებში.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „დროების“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია სულ არ ინახავს. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე.

ადრესის გამოცვლა ტფილისიდან ტფილისს გარედ ღირს 1 მან., ხოლო სხვაგან 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქუჩა, № 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. „ДРОЭБА“.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

გაზ. „დროების“ კანტორისაგან

„დროების“ კანტორა უმორჩილესად სთხოვს იმ ქალაქელ ხელის მომწერთ, რომელთაც გუშინ გაზეთი არ მიუღიათ და აგრეთვე მათ, რომელნიც ამ ორ-სამ დღეში არ მიიღებენ, აცნობონ ეს უსათუოდ კანტორას. გაზეთის დროზე მიუღებლობა გამოიწვია იმან, რომ დამტარებლებად ახალი კაცები არიან, რადგან ძველებს ბოროტ-მოქმედება აღმოაჩნდათ და ამიტომ კანტორამ დაითხოვა.

მიიღება ხელის-მოწერა 1909 წლისათვის

დროება

1909 წელს გაზეთი გამოვა იმავე პროგრამით, როგორითაც მდგომარე წელს გამოდიოდა. მომავალ წელს გაზეთი გაუმჯობესებული იქნება შინაარსით.

ყოველ დღიურ გამოცემის გარდა 1909 წელს გაზეთს ექნება

სურათებიანი დამატება

დამატება გამოვა კვირაში ერთხელ—კვარაობით.

მომავალ წელსვე გაზეთში დაიბეჭდება „რუსეთის საიდუმლოების“ დებედები. დებედები უკვე დაკვეთილია და დეკემბერშივე დაიწყო ბეჭდვა.

გაზეთის ფასი დამატებიანა: წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—5 მან. 10 კაპ., ერთი თვით—1 მან.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან. წლით გაზეთის გამოწერა შეიძლება მარტო პირველ იანვრიდან პირველ იანვრამდე. წლიურმა ხელის-მომწერმა ფული ან ერთიამად უნდა შემოიტანოს ან ნაწილ-ნაწილ ამნაირად: პირველად—3 მანეთი, პირველ მარტისთვის—2 მანეთი, პირველ მაისისთვის—2 მანეთი და პირველ ივლისისთვის—1 მან. 50 კაპ. გაზეთის გამოწერა უდამატებოდ არ შეიძლება.

ვინც 15 იანვრამდე გაზეთს გამოიწერს და სამ მანეთს შემოიტანს, იმას მიეცემა კედლის თვიური პატარა

კალენდარი 1909 წლისა

ხელის-მოწერა ჯერ-ჯერობით მიიღება მხოლოდ ტფილისში:
„დროების“ კანტორაში—დიდი ვანქის ქუჩა, N 12; წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში მ. ქურუკაძვილთან—სასახლის ქუჩა, თავად-აზნ. ქარვასლა; ნაძალადევში მეპურე მელიტონ ღოღობერიძესთან—მაგისტრალნი ქუჩაზე, გრიგოლ ჩარკვიანის სახლში; რკინის გზის მთავარ სახელოსნოში ვანო ჭავჭავაძესთან—ტიკარნი ცეხი.

პროვინციალურ აგენტებთან ხელის-მოწერა ჯერ-ჯერობით არ მიიღება. პროვინციალურმა ხელის-მომწერლებმა რედაქციიდან უნდა დაიკვეთონ გაზეთი ფოსტით.

ხელის მომწერთა საყურადღებოდ

კანტორა უმორჩილესად სთხოვს ახალ ხელის მომწერთ, თუ ვინიცობაა ვერ მოახერხებენ ფულის კანტორაში შეტანას, დამტარებლებს გადასცენ იგი მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს უკანასკნელნი კვიტანციას წარუდგენენ.

ხელის-მოწერა რედაქციის კანტორაში მიიღება: დილით 9-დან 3 საათამდე. საღამოთი 5 დან 8 საათამდე.

ადრესი: Тифлисъ, Редакція „Дроэба“ И. С. АГЛАДЗЕ.

წარმოდგენა № 1. ქართული თეატრი **წარმოდგენა № 1.**

კვირას, 14 დეკემბერს 1908 წ. ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

სამშობლო

ისტორ. დრამა 5 მოქმედებად და 7 სურათად დ. ერისთავისა.

მონაწილეობას იღებენ; ქ-ნნი ტასო აბაშიძე, მ. მდივანი, ბ. ნებიერიძისა, ვ. ჩერქეზიშვილისა, ჯავახიშვილისა: ბ-ნნი: ვ. გამყრელიძე, გ. გედევანოვი, ვ. გუნია, ნ. გვარამე, გრიშაშვილი, ა. იმედაშვილი, ი. ივანიძე, ვ. შატარაძე, ი, ქიქიძე, ს. ხვიჩინიძე, მ. საფაროვი, კ. ყიფიანი, კ. მათირიშვილი, გ. იმხნელი, ვ. შალიკაშვილი.

ამ პიესისათვის დახატულია ახალი დეკორაციები მხატვრების თოიძის, ლოპატინსკის და დეკორატორ **ნოვაკის მიერ.**

ადგილების ფასი: ლოჟები 15 მ.-დან 7 მ.-მდე, პარტერი 5 მ.-დან 1 მ.-მდე, გალერეია 60 კ.-დან 20 კ.-მდე. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში.

დასაწყისი სწორედ საღამოს 8 საათზედ.

მზადდება წარმოსადგენად „მეგობრობა“ ნ. მიქაძვილისა, „ცელები“ ლემონიესი.
უფროსი რეჟისორი **ა. ი. ყანჩელი.** რეჟისორი **ვ. შალიკაშვილი.**
ქართ. დრამატ. საზოგადოება.

ქალაქ ქუთაისში პოეტის

აკაკი წერეთლის იუბილეი

კვირას, 1908 წლის დეკემბრის 14-ს

I

დილის დღესასწაული

1. დილის 10 ს. **აკაკი წერეთლის** ბინაზე შეიკრიბებიან არჩეული პატივისმცემელნი და მათის თანახლებით იუბილიარი 10 ნახევარ ს. გაემგზავრება საკათედრო ტაძარში (სობოროში).
2. პარაკლისის გათავების შემდეგ იუბილიარი დაბრუნდება თეატრში.
3. 12 საათზე ქალაქის თეატრში სცენაზე იუბილიარი მიიღებს დეპუტაციებისაგან მილოცვას. დღის დღესასწაული გათავდება 3 საათზე იუბილიარის სიტყვით.

II

საღამოს დღესასწაული

1. „პატარა კახი“, მეორე მოქმედება.
2. ოპერიდან „თამარ-ცბიერი“, მუს. ბალანჩივაძისა.
3. სალიტერატურო განყოფილება. იუბილარის ნაწარმოებთა კითხვა.

III

1. **მილოცვა** იმ დეპუტატებისაგან, რომელნიც ამას ვერ მოასწრებენ დილით.

IV

აპოთეოზი

ბილეთები საღამოს წარმოდგენისათვის იყიდება თეატრის კასაში დეკემბრის 9-დან. დეპუტაციები უნდა გამოცხადდნენ 12 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე, ქალაქის გამგეობის შენობაში, სადაც მიიღებენ ბილეთებს და თან ეცნობებათ წეს-რიგიც. ბილეთები დილის დღესასწაულზე დასასწრებლად შეიძინება იქვე.

(4—უ—4)

ელისაბედ ივანეს ასული ქართველიშვილისა ოჯახითურთ გულწრფელ მადლობას უძღვნის ყველას, ვინც პატივი სცა მის ახლოდ გარდაცვლილ მეუღლის **გაბრიელ გაბრიელის ძის ქართველიშვილის** ხსოვნას. (1—673—1)

ექიმი ე. ს. ხუნდაძე ქუთაისში იღებს მინაგან, საშარდე და ქალთა ხნეულობით ავადმყოფებს, აგრეთვე ბებიაობს, ყოველ დღე: დილით 10—1 ს., საღამოთი 6—7 ნახევარ სათ. ლეჩამოვის ქუჩა, ს. N 29 ჩარექოვისა. (25—6.—11)

ექიმი კ. თ. ტყეშელაშვილი **ქუთაისში** იღებს მინაგან და სპეციალურად ვენერიულ სნეულებით ავადმყოფებს (სიფილისი, სუსუნატი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების სატკივარი), ტფილისის ქ., ფირალოვის სახლი (ქარხანა). (120—ფ.—13)

ექიმი ნ. მ. მელიქიშვილი იღებს ქირურგიულ და ქალების სნეულებათა ავადმყოფებს ყოველ დღე 9—10 ს. დილით და 4—6 ს. საღამოთი, ბროსეს ქუჩა, N 11. (25—656—8)

ექიმი კბილისა **გრიგ. ტყეშელაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9—5 საათ. ოლგას ქუჩა, N 33. (25—6.—20)

ექიმები კბილისა ქუთაისში **ნ. ა. დემიდოვი** და **მ. ო. სუხარევსკი** იღებენ ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბდორენის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (0—586—50)

ექიმი თვალისა **ზ. მ. ცხვედაძე** დორპატის უნივერსიტეტის კლინიკაში ასისტენტად ნამყოფი, იღებს თვალით ავადმყოფებს ყოველ დღე, დილით 11—1 ს. და საღამოს 5—6 ს.; ვერა, ოლგას ქ., N 31, ს. სარაჯიშვილისა. (25—668—3)

ექიმი ზ. ე. **ხოჯააკარუხოვი** ყოფილი ასისტენტი ოდესის უნივ. კლინიკისა, მიიღება სიფილისით, საშარდით და კანით ავადმყოფთა დილით 9—11 ს., საღამოთი 5—7 ს; ქალებისა და ბავშვებისათვის 11—12 ს. სოლოლაკი, ბებუთოვის ქ., N 29, საკ. სახ. (25—639—17)

ექიმი ა. ნ. **დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 12—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. ყორღანოვის ქუჩა N 14. (უ)

კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი **მ. გედევანიშვილისა** იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—7 საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (6.—49)

სამკურნალო ქუთაისში, **ქირურგიული და დედათა სნეულებისა,** მუდმივი საწოლებით, ტერაპევტიულ განყოფილებით და მოსალოგინებელ ოთახით **ექიმის ივ. ბოკერიასი** (გიმნაზიის ქუჩა, პრინცესა მიურატის სახლი, სადაც წინად ს. თოფურიას სამკურნალო იყო).

ექიმი ვალ. ლორთქიფანიძე—მინაგანი, ბავშვების და ნერვების სნეულებით ავად. დილით 9—1 და საღამოთი 4—6 ს.

ექიმი ივ. ბოკერია—ქირურგიული, ქალის, ვენერიულ და კანის სნეულებით ავად. დილით 9—1 ს. და საღამოთი 4—6 ს. **რჩევა ათი შაური.**

კონსულტაცია და ოპერაცია შეთანხმებით. მძიმე ავადმყოფებს იღებენ ყოველ დროს. (25—6.—15)

ტფილისის სახაზინო თეატრი

კვირას, 14 დეკემბერს, ორი წარმოდგენა. დილით დაკლებულის ფასებით წარმოდგენილი იქნება დასაწყისი 12 საათზედ.

„მეფე დურგალი“ და პროჟექტორი

საღამოთი დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

„ღამე სიყვარულისა“

მონაწილენი: ქ-ნნი არდი, ვასილევსკაია კალინინა მეორე, ოსიპოვისა, ფერრარი; ბ-ნნი ევლახოვი, ლუტრევი, ოთხანოვი, როსსოლიმო, სერგეევი, ულუხანოვი, ხლიუსტინი, ჩერნოვი და სხვ.

ანონსი: ხვალ, „ნერონი“ სამშაბათს 16 დეკემბერს ბენეფისი ს. ა. სერგეევისა „რუსლან და ლიუდმილა“. ოთხშაბათს, 18 დეკემბერს ბენეფისი თეატრის კასსირის მ. დ. სტრელკოვაია-პლიამისა.

ცირკი ძმ. ნიკიტინებისა

კვირას, 14 დეკემბერს, ორი დიდი სადღესასწაულო წარმოდგენაა დილით და საღამოთი, თითო 3 მოქმედებად. მონაწილეობას იღებენ ტფილისში ჯერ პირველად მოსულნი პირველ ხარისხოვანი მოთამაშენი. დღეს მონაწილეობას იღებენ: საზოგადოების საყვარელი **რიჩარდ რიბო,** საუკეთესო ჟოკეი **ვოლტერ პარაერი,** ჰაერის მეფენი ტრიო **დეხერტი,** შესანიშნავი კომიკები **ვოოდი** და **მაი.** მემუსიკე კლოუნები **კამაკიჩები,** გიმნასტი **ირაჩია** და სხვანი. დასასრულ დიდი ბალეტი **ყაჩაღთა შორის.** დიწვრილებით აფიშებში.

დილის წარმოდგენა დაიწყება 2 საათზე, საღამოსი—8 ნახევარ საათზე.

(0—1) დირექტორი ცირკისა **აკიმ ალ. ნიკიტინი.**

---

15 16, 17, 18, 19 და 20 დეკემბერს

პ. ს.

დოროფეევი

(სოლოლაკის ქ., ს. გურგენოვისა, ტელეფონი № 583)

სეზონის მალე დამთავრების გამო, ყველა საზამთრო საქონელი

იაფად გაიყიდება

მხოლოდ ექვსი დღის განმავლობაში, ე. ი. 15, 16, 17, 18, 19 და 20 დეკემბერს:

აბრეშუმეულის და შალეულის მატერიების განყოფილებაში;

მაუდის საქონლის განყოფილებაში;

აგრეთვე ფერადი ბამბაზია, თბილი საბნები, თავზე წამოსასხამები და შალები, სამებელო მატერიები და პორტიერები და სხვა.

ყველა ეს საქონელი გაიყიდება ნომინალურ ფასის დაკლებით, მანეთზე 10%-სა.

(1—ხალ.—1)

სამკურნალო

სპეციალისტ ხაშენდროვ ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვანქის დიდი ქუჩა, № 3, ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 481.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 ს.-მდე.

რუდენკო—შინაგანი სნეულ. კვირა 3—4 საათ.

რიდელი—სიფილისი, კანისა, ვენერიული, ყოვ. დღე 2—3 ს.

კალამქაროვი—საშ. და ქალთა. ყოველ დღე 4—5 საათ.

ერმოლაევი—ბავშ. და შინაგ. ყოველ დღე 1—2 ნახ. ს.

პავლოცკი—ქირურგ. ყოველდღე 4—5

იოსელიანისა—ქალ. ავად., ორშაბთ., ოთხშ., პარას., კვირა 11—12 ს.

ბოგუსკი—შინაგანი, ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.

გორალევიჩი—შინაგ. ყოველ დღე 11 ნახ.—12 ნახ. ს.

ათენიანცი—ყურ., ყელ., ცხვ. ყოველ დღე 10-ნახ. 11 ნახ. ს.

იაკ. ჩუდნოვსკი—ნერვებ., სულ.-ავ. ელექტრ. ორშ., ოთხშ. და პარასკ. 4—5 ს.

ბალდინა-ნოვიცკაია—ყურ., ყელ., ცხვ. ყოველ დღე. 4—5 საათ.

ვნუკოვი—ქირურგ. ყოველ დღე 2—3 საათ.

ნოვიცკი—ქალ., ბავშ. ყოველ დღე 1—2 საათ.

ნევზოროვა—კბილისა, ყოველ დღე 11—1 საათ.

პივარსკი—კლინიკური ანალიზი.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. (100—6.—86)

„ტფილისის კრუჟოკში“, 29 დეკემბერს

საზოგადოება განათლება

მართავს

ისტორიულ საღამოს

წარმოდგენილი იქნება ისტორიიდან სხვა და სხვა ხანა სიმღერებით და ცეკვით. ისტორიულ პირების გამოსვლა.

ტანისამოსი უნდა იყოს უბრალო ჩითისა.

!!!წაიკითხეთ!!!

ქუთაისში, ალექსანდრე კოსტავას მაღაზიაში, თბილისის ქუჩაზე, ქალაქის აფთიაქის გვერდით:

ეს-ეს არის მივიღეთ ყოველ გვარი **შეკერილი ევროპიული ტანისამოსი** და თეთრეული კაცებისათვის და აგრეთვე რუსული და საზღვარ-გარეთელი მატერიები კაცის სატანისამოსოთ, რომელსაც ვუღებით არშინობით და ვკისრულობთ შეკერვასაც.

ფასები ძლიერ დაკლებულია

(7—ფ—7)

„ტფილისის სობრანიე“

მამასახლისთა საბჭო აუწყებს ბ-ნთ წევრთ, რომ კვირას, 21 ნოემბერს, საღამოს 9 საათისთვის დანიშნულია

საზოგადო კრება

ამ კრებაზე კენჭი უნდა უყარონ იმათ, ვინც კანდიდატებად იქნებიან წარდგენილნი 1909 წლისათვის.

(2—671—1)

საჭიროა ორი მასწავლებელი წ.-კ. საზოგადოების სკოლებისათვის. 1. ს. ყალამშაში, ბორჩალოს მ. და 2. ს. გიორგი-წმინდაში, ტფილისის მ. ჯამაგირი თვეში 30 მ.ნ. და ბინა. მსურველმა თხოვნა უნდა გამოგზავნოს წ.-კ. საზოგადოების სახელზე: Тифлисъ. Об-во грамотности. თხოვნასთან აუცილებლად საჭიროა დოკუმენტები და კეთილსაიმედობის მოწმობა. (2—უ—2)

ვიღებ **შესაკერად საბნებს** როგორც ძვირფასის ხელოვნებით დალიანდაგებულს, ისე უბრალოს, აგრეთვე ლეიბებს და საცვლებს ყოველ გვარ ხელსაქმეს.

ადრესი: კრასნოგორის ქუჩა, სახლი ლეჟავასი, № 28 ეზოში. იკითხეთ სალომე ჩხეიძისა. (2—უ—2

ძმ. ა. და ი. ალშვანგის მაღაზიაში

ლიკვიდაციის გამო

დანიშნულია **საბოლოო ვაჭრობა** ყველა საქონლის გასასყიდად

გოლოვინის პროსპექტზე.

ფასები

ყველა საქონელზე ძალზე იაფია.

(6.—2)

ტფილისი, 14 დეკემბერი.

შვიდ დეკემბერს ტფილისში გამართული აკაკის დღესასწაული, როგორც ზღვის ძლიერი ტალღა, ცენტრიდან ნაპირებისაკენ მიიმართება და მეტის თუ ნაკლების ძლიერებით განმეორება ყველგან. დღესასწაულის ასეთი განმეორება მოხდება დღეს დასავლეთ საქართველოს კულტურულ ცენტრში, ქუთაისში. მართალია, დასავლეთმა საქართველომ ტფილისში გამართულ დღესასწაულში დიდი მონაწილეობა მიიღო, მაგრამ ეს მონაწილეობა გამოგზავნილ დელეგატების ან საკუთარ ინიციატივით საგანგებოდ ამისთვის ჩამოსულ პირებით განისაზღვრებოდა. თვით ხალხი პირისპირ ვერ უცქეროდა დიდებულს იუბილიარს, პირდაპირ არ განიცდიდა იმ აღფრთოვანების გრძნობას, რომელსაც უხვად აბნევდა თავის პიროვნულ მიმზიდველობით სახელოვანი მგოსანი. აი, ამ ნაკლის შესავსებად დღეს ქუთაისში მოხდება გაგრძელება საიუბილეო დღესასწაულისა.

დღესისთვის თვით იუბილიარი ქუთაისში გაემგზავრა. საზოგადოებრივი აღფრთოვანება უკვე იმდენად მოედო მთელს საქართველოს, რომ არავითარი ხელოვნური საშუალება არ არის საჭირო დღევანდელ დღესასწაულისთვის ქუთათურების ყურადღების მისაქცევად. ჩვენი მოლოდინი სრულად და მთლად გამართლდა. აკაკის იუბილე საერო კულტურულ დღესასწაულად იქცა. ამ კულტურულ დღესასწაულს თავდავიწყებით ეწაფება ცენტრიც და პროვინციაც. მაღალი საზოგადოებრივი წრეებიც და მდაბიო ხალხიც. დღევანდელი დღე დაანახვებს ქუთათურებს იმას, რაც ტფილისში შვიდ დეკემბერს ვნახეთ, დაინახვებს, რომ ეროვნულ აღორძინების საქმე ჩვენს ქვეყანაში უკვე მტკიცე და შეურყეველ ნიადაგზე სდგას.

სულიერად ვუერთდებით ქუთათურების სამხიარულო გრძნობებს და ხელახლა ვულოცავთ აკაკის მის ნახევარ საუკუნის ნაყოფიერ მოღვაწეობას.

კავკასიის შეკითხვის განხილვა დაიწყო. უკიდურესი მემარჯვენენი პურიშკევიჩის მეთაურობით საზარო ღრიანცელით გადმოანთხიეს მათს ღვარძლიანს გულში მოზღვავებულს კაცთ მოძულეობას. ეხსნება საბურავი იმ პოლიტიკურ მდგომარეობას, რომელიც ნებით თუ უნებურად შექმნეს ოქტომბრისტებმა და ცენტრალურმა მთავრობამ.

კავკასიის ნამესტნიკის წარმომადგენლის ბარონ ნოლდეს ზრდილობიანმა და საქმიანმა პასუხმა სულ ერთიან აურია დავთარი მემარჯვენეებს და ლაგამ-წავარდნილი ყურენბი ახლა მთელის რუსეთის წინაშე გამოჰფინეს თავიანთ უწმაწურობას, უწვრთნელობას და ბოროტის გრძნობებით გაჟღენთილ-გაბრუებულ უგუნურებას.

პურიშკევიჩის სიტყვა, ლანძღვა-თრევისა და ჭორებისაგან შეზავებული, რა თქმა უნდა, არც სერიოზულ განხილვის ღირსია და არც სერიოზულ ყურადღებისა. სამაგიეროდ, დიდად საყურადღებოა, რომ როგორც მთავრობისა, ისე სახელმწიფო სათათბიროს პოლიტიკაზე ასე დიდი გავლენა აქვთ იმ ვაჟბატონებს, რომელნიც პურიშკევიჩებს თანაუგრძნობენ და მათ მიერ ნაკარნახევ გზაზე სდგანან. კავკასიის საქმეებზე დებატების ინტერესი პურიშკევიჩის სიტყვის შემდეგ სხარტულად გადატანილ იქმნა კავკასიიდან ცენტრალურ მთავრობის და უკიდურესს მემარჯვენეების ურთიერთობაზე. შეკითხვის ავტორებს რომ ფეხ-ქვეშ არავითარი ნიადაგი არა აქვთ, გარდა მათ მიერვე შეთხზულ მდაბალ ხარისხის ჭორებისა — ეს ცხადზე უცხადესია, მაგრამ იგრძნობს თუ არა ცენტრის პარტია და სტოლიპინის სამინისტრო ეხლა მაინც, რომ მონარქიზმის პრინციპებს უკიდურესი მემარჯვენენი მხოლოდ ფარად ხმარობენ და რომ ამ ფარით ჰმალავენ ისინი თავიანთ უზრდელობას, კაციჭამიობას, ღვარძლიანობას, პოლიტიკურ უგნურობას და „პოგრომშჩიკობას“.

ყველაფრის ამტანმა და ყველაფრის მომთმენმა სათათბიროს თავმჯდომარემაც კი ვეღარ გაუძლო კავკასიის შეკითხვის განხილვით ატეხილს უწმაწურობის ჩოჩქოლს და სხდომის დასასრულ იმანაც კი განაცხადა, იძულებული ვხდები, სტენოგრაფიული ანგარიში შევასწორო და აქ ნათქვამი შეუფერებელი სიტყვები ამოვშალოო. როგორც ჰხედავთ, ოქტომბრისტების თავმჯდომარესაც კი სირცხვილი უგრძნია იმის გამო, რასაც პურიშკევიჩები ლაპარაკობენ კავკასიის შესახებ. და აი, ამ სასირცხვილო სიტყვათა ავტორებს ჩაუგდეს ხელში პოლიტიკურ ცხოვრების სადავე!.. როდემდის? ნუ თუ ამის შემდეგაც მემარჯვენე რევოლუციონერთა ფრაზეოლოგიის შიშით შებოჭილი დარჩება რუსეთის მთავრობა და სათათბიროს ცენტრი? ნუ თუ ამის შემდეგაც არ ეცდებიან გასწმინდონ რუსეთის პოლიტიკა უკიდურეს მემარჯვენეთა გამრყვნელ გავლენისაგან?

ბარონ ნოლდეს ვრცლად დასაბუთებულ სიტყვის შემდეგ არც ერთს ჭკვათა მყოფ ადამიანს აზრად არ მოუვა, კავკასიელთა სეპარატისტობაზე და კავკასიაში „რუსულ საქმის“ დევნაზე ილაპარაკოს. ამ გვარ თემებზე ლაყბობას ბარონმა ნოლდემ ყოველივე ნიადაგი გამოუნგრია. სწორედ ესაა მიზეზი, რომ უნიადაგოდ დარჩენილი პურიშკევიჩები ჭორებს-ღა ემყარებიან და, როგორც სისხლის აფექტში ჩაცვივნულნი, უგონოდ გაჰკივიან—მურავიოვის რეჟიმიო. უკიდურეს მემარჯვენეთა სულისკვეთება მთელის თავის საზარო შინაარსით არასოდეს ისე ცხადად და ნათლად არ გამოფენილა სათათბიროს ტრიბუნიდან, როცა კავკასიის საქმეების განხილვას შეუდგნენ. ამის შემდეგ ორში ერთი უნდა მოხდეს: ან ცენტრალურმა მთავრობამ და სათათბიროს უმრავლესობამ სასტიკად უნდა შეუქციოს ზურგი უკიდურეს მემარჯვენეებს და ან აშკარად მიემხროს მათს შავრაზმულ სულთა სწრაფვას. სათათბიროში ბარონ ნოლდეს და პურიშკევიჩის შორის მომხდარი ინციდენტი უკიდურეს მემარჯვენეებისთვის ნასროლი ხელთათმანია. პურიშკევიჩები ამ ხელთათმანს, რა თქმა უნდა, მიიღებენ, მაგრამ რა პოზიციაზე გაჩერდებიან ოქტომბრისტები და სტოლიპინის სამინისტრო — საკითხია. ოპოზიცია და ბარონი ნოლდე გაირიყებიან ცალკე თუ პირიქით განცალკევებული უკიდურესი მემარჯვენენი დარჩებიან? დღეს ხვალ ამასაც შევიტყობთ და ეს იქნება იმის მაჩვენებელი, თუ ვინ ვის გადიბირებს თავისკენ. კავკასიის შეკითხვის ნიადაგზე გამოირკვევა, დაჰკრა თუ არა იმ საათმა, როცა უნდა დაიწყოს პოლიტიკურ განწყობილების შებრუნება მარჯვნიდან მარცხნივ. შესაძლოა, ჯერ ეს მომენტი არ დამდგარიყოს, მაგრამ მაინც უეჭველია, რომ ისეთი ამბები, როგორიც კავკასიის შეკითხვის გამო ჰხდება, გვიახლოვებს იმ დროს, როცა ჯანღით დაბურულ პოლიტიკურ ცაზე მცირედი სინათლის შუქი გამოჩნდება.

აკაკის იუბილეი

ადრესები

რკინის გზის სომეხ-ქართველ მუშათა ჯგუფისაგან. „დიდებულო მგოსანო! მიიღე ჩვენგან, მუშათაგან, მოწიწებით მოძღვნილი სალამი. აღფრთოვანებულნი შენის დიდებულის დღესასწაულით, გილოცავთ ორმოცდა ათის წლის დაუღალავ მუშაობას ჩვენი მრავალტანჯულ ქვეყნისათვის. გახსენე, მგოსანო, ვინ უგდებდა ყურს შენ სალამურს, ხმა ტკბილსა და საამურს, ამ ორმოცდა ათის წლის წინად, როდესაც ხალხი დამონავებული იყო და შენი მხსნელი მხოლოდ ერთი მუჭა ინტელიგენცია და ერთი მუჭა შეგნებული თავად-აზნაურობა იყო. შენთვის, ზეგარდმო ნიჭით ცხებულო, საკმაო არ იყო ესოდენ მცირე რაცხოვანი საწმყო და ამიტომ თავს დასტრიალებდი გლეხის მშრომელი ხალხის აკვანს და მედგრათ ჩასძახოდი:

მაშ ნუ გძინავს, გაიღვიძე, იცან ქვეყა-
| ნაო...

მიმოიხედე, მგოსანო. და დარწმუნდი, რომ შენმა ჩანგის ჟღერამ გასჭრა; მშრომელი ხალხის შვილნიც გტკბებით დღეს შენის ციურის სალამურით. მგოსანო! ჯერ კიდევ იმ დროს შენ სასოებით მღეროდი ჩვენს ქვეყანაზედ!

არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს და
| ისევე გაიღვიძებსო.

აბა, შეხედე აბორბოქებულ ხალხს, აქ შეკრებილ მთელის ქვეყნის წარმომადგენლებთ, შენთვის უდიდეს მადლობის მოსაძღვნელად მოსულთ; შეჰხედე და დარწმუნდი, რომ ტყუილი არ იყო შენი იმედი, რომ არ მომკვდარა და ისევ გაიღვიძებსო. ეს იმედი ჩვენც ჩაგვესახა გულში და ამ დიდ ღვაწლს შენსას არ დაივიწყებს არასოდეს მშრომელი ხალხი, არ დაივიწყებს არასოდეს იმას ვინც მშრომელი დალოცა ამ სიტყვებით:

მუშებო! თქვენი მარჯვენა იკურთხოს
ოფლით ნაბანიო..“

გაუმარჯოს შენს მარჯვენასაც ჩვენო ძვირფასო აკაკი, ჩვენო დიდებულო მგოსანო!

ამ ადრესის შემდეგ მუშამ მაქრო ჩავთლუღელმა წაიკითხა შემდეგი თავისი ლექსი:

ვერ ძალ-მიძს ხოტბა შეგასხა,
შვილო ჩაგრულის ერისა;
სულ ყველა არის მქებელი
მაგ შენი ტკბილი ენისა.
შენ არ წასულ-ხარ, მგოსანო,
დიდების საძებნელადა,
თანამგრძნობელნი მოვსულვართ
მადლობის მოსაძღვნელადა.
და შევასრულე, მოღვაწევ,
შენ მშობლიური ვალია:
მამას რომ უძღვნან მადლობა—
ეგეც შვილების ვალია.
ფუტკარივით ყვავილთაგან
თაფლ-სანთელი მოგვიმზადე,
სიტკბოებით გვასაზრდოვე
და წყვდიადი გაგვინათე.
ბულბულისებრ კვნესით-ლხენით
დასტრიალებ საქართველოს
თავს ევლები, ვით არშიყი,
მთაბარ-ტყიან ტურფა მდელოს.
ორმოც და ათი წელია,
ჟღერს შენი დაფი-ნაღარა;
გმირებს ეძებს და ეძახის
ბრძოლის ველისკენ პალარა.
შეუპოვარი კალამი
გიპყრია მოხუცს ხელში.;
გმირო, ძეგლი გაქვს დადგმული
შენ ერის სიცოცხლეშია!

არტურ ლეისტისაგან: „იშვიათი დღესასწაულია დღევანდელი დღე, ძვირფასო პოეტო! იშვიათი დღესასწაულია იგი ქართველ ერისათვის და პოეზიის ნამდვილ თაყვანისმცემელთათვის. ნახევარი საუკუნეა მას შემდეგ, რაც თქვენი უცხო პოეზიის პირველი ყვავილი უძღვენით ძვირფასს სამშობლოს და ამ ნახევარ საუკუნის განმავლობაში იფურჩქნებოდა ერთი ყვავილი მეორის შემდეგ თქვენი ბრწყინვალე ზესთაგონების გავლენის ქვეშ. თქვენ გაამდიდრეთ სამშობლო მრავალის ქმნილებით, რომელთათვისაც არ არსებობს არც დრო, არც სიკვდილი, რადგან მარად საუკუნოა იგი თქვენის მეოხებით. თქვენი სამშობლო დღეს უფრო მდიდარია, ვიდრე იგი იყო, ამ ნახევარი საუკუნის წინად, და ამ სიმდიდრის განადგურებას ვერ შესძლებს ვერც გრიგალი და ვერც ცეცხლი, ის შეადგენს თქვენი ერის სამარადისო კუთვნილებას. იხარეთ და იამაყეთ, ძვირფასო პოეტო, რომ ბედმა მოგცათ საშუალება, გედღესასწაულებინათ ეს დიდებული იშვიათი დღე და დამტკბარიყავით თანამემამულეთა საერთო აღტაცებითა და თქვენი ბრწყინვალე დიდების ხილვით.

„ღმერთმა კიდევ დიდხანს გამყოფოს შენს ხალხთა შორის და დიდხანს დაგატკბოს ტურფა საქართველოს მშვენებით. ამას გინატრის გულწრფელად და გულ-ახდილად უცხო ერის შვილი, რომელმაც შენი ქართული პოეზიის ყვავილები სიყვარულითა და აღტაცებით გადარგო გერმანიის ნიადაგზე, რადა მის თანამემამულენიც დამტკბარიყვნენ ამ ყვავილების სილამაზით და სურნელებით. თქვენი მეგობარი და პატივისმცემელი **არტურ ლეისტი**“.

მილოცვა ქ. რომიდან. იტალიის სატახტო ქალაქ რომიდან მგოსანმა აკაკი წერეთელმა ორიგინალური მილოცვა მიიღო. სურათზე დახატულია შოთა რუსთაველი და აკაკი წერეთელი. შორს სურათზე მოსჩანს საქართველო. შოთა რუსთაველი კალამს აწვდის აკაკის ამ სიტყვებით:

. ვის მივანდო ხაზლი [illegible]
შენგან კიდევ ვინ შეება?
წელი კიდევ დაიჭირე,
ვერ წაგიტან ვერა, ვერა!
შოთა რუსთაველი.

სურათზე ბოლოში აწერია: აკაკი წერეთლის 50 წლის იუბილეისათვის ძღვენი პატრი მიხეილ თამარაშვილისა და რომის ქართველ სტუდენტთა გუნდისაგან“.

გურია-სამეგრელოს სამღვდელოება. ფოთიდან გუშინ შემდეგი დეპეშა მივიღეთ: „გურია-სამეგრელოს ეპარქიის სამღვდელოების დეპუტატთა კრებამ, ძვირფას სახალხო მგოსნის აკაკი წერეთლის იუბილეის სახსოვრად, საშუალო და უმაღლეს სასწავლებელთა ღარიბ მოწაფეთათვის დაარსა სამი სტიპენდია, თითო 133 მან. თავმჯდომარე კრებისა ბლაღ. არისტარხ კალანდარიშვილი.“

ფონდის სასარგებლოდ. „გაგზავნილ 54 მ. 60 კ., შეკრებილს ქ. შუშაში აკაკის სახელზე დაარსებულ სალიტერატურო ფონდის გასაძლიერებლად. სია შემომწირველთა ფოსტით. ქ. შუშა. გ. დ. ბახშაური“.

„გთხოვთ უმორჩილესად, გადასცეთ, სადაც ჯერ არს, სამი მანეთი აკაკის ფონდის სასარგებლოდ, ერთიც იუბილიარისათვის. მღ. ილარ. ხახუტაშვილი“.

სახელმწიფო სათათბირო

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

გარეშე საქმეთა მინისტრის სიტყვა.

სათათბიროს მე-31 სხდომა მოხდა 12 დეკემბერს დილით. პირველად განიხილეს საბიუჯეტო კომისიის მოხსენება ცხენების მოშენების მთავარ სამმართველოს აღრიცხვის შესახებ. სხდომა შესწყდა და განახლდა ნაშუადღევის 2 საათზე.

თავმჯდომარეობდა ხომიაკოვი. მინისტრთა ლოჟაში—მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, ფინანსთა, გარეშე საქმეთა, საზღვაო, იუსტიციისა, გზათა და ვაჭრობის მინისტრები, მიწად-მოქმედების მთავარი გამგე, სამხედრო მინისტრის ამხანაგი გენერალ-ლეიტენანტი პოლივანოვი და სხვა ამხანაგები. დიპლომატთა ლოჟაში: წარმომადგენლები სახელმწიფოებისა—იაპონიისა, იტალიისა, ოსმალეთისა, ბოლგარიისა, შვეციისა, საფრანგეთისა, ჩინეთისა, სერბიისა, ინგლისისა, პორტუგალიისა, ისპანიისა, სპარსეთისა, გერმანიისა და ავსტრო-უნგრეთისა, სახელმწიფო საბჭოს წევრნი და სენატორები—ყველანი თავთავიანთ

ფელეტონი

ადამიანის სიმღერა

დღენი მირბიან!.. დღენი მიჰქრიან..
უკვე მოხნან ჩემი საზღვრები!
სიცოცხლის ბუჩქის ფესვებსა ღრნიან
ავი თაგვები, გაუმაძღრები!!
დღენი მიჰქრიან!.. საით და რათა?
მათთვის მე რა ვარ? ანკი ვარ რამე?!
თუ სინათლე რამ თან ახლავს მათა,
რათ გამიმეფეს მაშ გულში ღამე?!..
რათ მაჩვენებენ ცრემლს მდუღარეს?
ტანჯვის კოცონზედ ახლა მგზნებარეს?
ოხვრასა მწარეს, რისხვას მქუხარეს,
სულის ღმერთს მოკლულს, პირქვე მდებარეს?!.
რათ მიმალავენ მზესა ელვარეს,
სითბო-სინათლის ღრმასა მდინარეს,
სიყვარულს-ალერსს ტკბილ მონარნარეს,
სახე მშვენიერს, პირმოცინარეს??..
პასუხი?.. ვისგან?!.. დღენი მიჰქრიან!
აჰ, რათა სდუმენ აქამდინ მკვდრები?!
თაგვები ღრნიან... ფესვებსა ღრნიან...
უკვე მოხნან ჩემი საზღვრები!!

კ. მაყაშვილი.

მეხური კილოს ლექსი

მკითხველებს ეუცხოვებათ სიტყვა „მეხური“. სიტყვა მეხური, ჩვენის აზრით, ნიშნავს სომარს. აი რათა: ხშირად შევხვედრივარ სოფლად, გლეხკაცებს შორის, მხიარულობის დროს, ერთს მეორისთვის მიუმართავს: ზაქარო, ერთი მეხური თქვი რამეო. ეს, როგორც ჩემმა დაკვირვებამაც და მომღერალთა გამოკითხვამაც მამცნო, ნიშნავს სამხიარულო, ვაჟკაცური სთქვი რამეო. მთქმელიც, მართალია, ან რომელსამე გმირს, ან „ფრანგულს“, ან მტერთან გამკლავებას შეეხება ქების სიმღერაში ლექსით. მელოდიის იერიც ყოველთვის ლექსის შინაარსის მიხედვით არის ამ შემთხვევაში აწყობილი.

ამას გარდა, ვისაც ჩვენ ხალხში დაუყვია რამ ხანი, ვგონებ გაიგონებდა: „ისე შემოსძახა, რომ მეხივით გავარდაო“. ან კიდევ: „მეხივით სჭექამდა მისი ხმაო“ და სხვა. ჩემის აზრით, აქაც ზემოაღნიშნულ მნიშვნელობით არის ნახმარი ეს სიტყვა, აქაც მეხური სამხიარულო ან სავაჟკაცო სიმღერა იგულისხმება, რადგან სამგლოვიარო ჰანგის თქმის დროს არ არის მიღებული რიხიანი ხმის შეკიდება და მაშასადამე, ხალხიც არ იხმარებს აქ ტერმინს „მეხური“.

სხვათა შორის სიტყვა „მეხური“ შეგვხვდება ძველ ხელთნაწერშიაც. მაგალითად, ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ბიბლიოთეკაში არის „საგალობელი“, სასიმღერო ნიშნებით, დაწერილი მეათე საუკუნეში. ამ საგალობლის გადასინჯვის დროს მე-44 გვერდზე შევხვდით შემდეგ წარწერას: „შეწევნითა ღვთისათა, რომელი იგი არს მიზეზი ყოვლისა კეთილისა... ვიმოღვაწე და შევკრიბე ძლის პირნი ესე... რომელნი ვპოვე ენითა ქართველთათა მეხურნიე ქართულნი და ბერძნულნი...“ რას ნიშნავს აქ სიტყვა „მეხურნი“? იქნებ იგულისხმება სომეხურნი ანუ სომხურნი. და ეს მით უმეტეს, რომ საგალობელში შევხვდებით სომხურ სიტყვებსაც: ტერვოღორმია და სხვა.

ყოველ შემთხვევაში, სოფ. გორგალაში (გორ. მაზრა, მთიულები ბინადრობენ) სიმღერების ჩაწერის დროს მთიული თამაზ წიწოლაშვილი მეუბნება: „ერთი მეხური კილოს ლექსი უნდა რამ ჩაგახატვინო ქაღალდში, შენი კვნესა მეო“. აი მის მიერ ნათქვამი ლექსიც:

ბარათ დაკოდილ არწივსა
მთისაკენ ექნა პირია;
გაჰკივის, ელის მოძმეთო—
ძმას ძმისგან შველა სჭირია.
მტრისგან ნატყორცნსა ისარსა
ფრთის ძირს აერთვა პირია;
წავიდა, წასკდა ღვართქაფი,
სისხლისა მისდის მილია.
მთას ორბი მიცვლილებული
გარეთ გამოდგა მწირია; |ძლეშ,
ფრთა-ფრთის შემოჰკრა მძლეთა
შვილს ამცნო მოძმის ძვირია.
ეოცა ბარათ ზარის ხმა,
გმინვაა, არა ლხინია;
აალმასა ნისკარტი,
ბრჭყალებიც ააფთრილია.
არ დაახანა რა ხანი,
ბარათ ჩამოდგა გმირია;
თან მოსდევს დიდი-პატარა,
იგრაგვნის მთა და ძირია.
ჩამოდგა, მაგრამ რა ნახა:
არწივი დაკოდილია;
გაიორკეცა წუხილი,
ნუგეში მისცა ტკბილია.
ძმამ ძმისა ტკბილის სალმითო
ჭრილობას მისცა ხმილია;
დასხდნენ კორდის ძირს და დასდეს
ფიცი საშვილი-შვილოა:
ურთმანეთოთ ამ ქვეყნათ
დავვმართოს ბედმა ძვირია,
აღარ მიგვიღოს მიწამა,
ზეცისგანც განაწირია!
ცეცხლისა წვიმამც უწვიმდეს,
უხვათ მოიმკოს ჭირია,
ნატვრიდეს მოძმის სალამსა,
კრულვისამც იყოს შვილია!
ღელე-ღუდეში სელივით
დაწრწოდეს, ვითა მწირია;
მზე, მთვარე შავათ უნათდეს,
არ ნახოს მშობლის ლხინია!

ი. კარგარეთელი.

წუხილი

ცას მოკაშკაშეს,
მზის სხივებით გაბრწყინვალებულს,
შავ ღრუბელთ გროვა
ვეშაპივით გარდაეფარა.
ტანჯულთ სამყაროს,
ნეტარ ხმებით აღფრთოვანებულს,
მწუხრის და გლოვის
ზარმა თავზე გარდაუარა.

* * *

მდელო გაშლილი,
ვარდ-ყვავილით დამშვენებული,
ულმობელ ქარმა
მთლად შეჰმუსრა გაატიალა
და ძირ-ფესვიან
ამოთხრილი, ათრთოლებული,
სურნელოვანნი
ბნელ წიაღში შეატრიალა.

* * *

იქ კი... იქ ობლად დაშთენილი
ბულბული მწარ ხმით
ჰკვნესდა ვაგლახად
მწუხარების ცრემლი სდიოდა
და დამჭკნარ ფოთოლთ
შავს ამბავზე ქვითინით, მოთქმით
ყველას ამცნობდა გულის ვარამს...
მწარედ სჩიოდა.

გოგია უიშვილი.

აკაკი და პატარა ბავშვები

მშობლების პატარა წრემ დაიარსა პატარა სკოლა, ეგრედ წოდებული „საბავშვო ბაღი“, ქართული საბავშვო ბაღი. ტფილისში საბავშვო ბაღი ახალი ამბავი არ არის, ზოგი,—მაგალითად, ლევანდოვსკის გიმნაზიასთან დაარსებული,—ძლიან კარგადაც არის გამართული, მაგრამ იგი რუსის ან გარუსებულ ბავშვებისთვის არის, რადგან 4—6 წლის ბავშვებს მხოლოდ რუსულად ესაუბრებიან და რუსულად ასწავლიან.

ქართული საბავშვო ბაღი სულ ახლად დაწყებული საქმეა: ჯერ აქ მხოლოდ თოთხმეტი ბავშვი სწავლობს 5—6 წლისა, არც მოწყობილება აქვს მდიდარი, მაგრამ მშობლებიცა და კიდევ უფრო პატარები ისე დაინტერესებულნი არიან და ისეთის ხალისით სწარმოებს საქმე, რომ თუ რამ გარეშე პირობამ არ შეუშალა ხელი, მისი მომავალი უზრუნველყოფილია.

აი ამ სიმპატიურ დაწესებულების პატრონებმა მოინდომეს, რომ მათ პატარა შვილებსაც მიეღოთ მონაწილეობა იმ დიდ ეროვნულ დღესასწაულში, რომელიც ქართველობამ გაუმართა თავის პოეტს.

პატარა დღესასწაული გაიმართა 11 ამ თვეს, დილის 12 საათზე და სულ საათ ნახევარში გათავდა, მაგრამ ამ მოკლე ხნის განმავლობაში უდიდესი სიამოვნება და კმაყოფილება მიიღო ყველა იქ დამსწრემ დიდმა და პატარამ. აკაკიმ სთქვა—დალალული და დაქანცული მოვედი და აქ კი დავისვენეო.

დიდის ამბით შეხვდნენ პატარები მგოსანს დერეფანში, როცა იგი ეტლიდან გადმოვიდა და კიბეზე ამოვიდა, შემდეგ შეიყვანეს საკლასო ოთახში და საპატიო ადგილზე დასვეს. პირდაპირ კედელთან ტახტი იდგა და იგი სცენის მაგიერობას სწევდა. პატარები ხან მღეროდნენ, ხან ლექსებს კითხულობდნენ. სიმღერაცა და ლექსების (აკაკის: „მგელი და ყურძენი“, „კატა“, „კურდღელი“, „მამალი“ და სხვა) თქმაც თამამი, მკვირცხლი და ცოცხალი იყო. გამოთქმა, პატარა სახის მიმიკა და პატარა ხელების გაშლა-გამოშლა ისე მოხდენილი იყო, რომ მაყურებლების სიცილსა და კმაყოფილებას საზღვარი არ ჰქონდა. აკაკის ნამდვილ, გულწრფელ სიამოვნების ღიმილი არ მოშორებია პირზე.

გათავდა სიმღერები და ლექსების კითხვა. პატარა მასპინძლები მივიდნენ „ძია აკაკისთან, რომელიც მათ კალმით ზრდის“, და მიიწვიეს მეორე ოთახში, სადაც ხილი და ტკბილეულობა ჰქონდათ დაწყობილი პატარა მაგიდაზე.

მშვენიერი, მომხიბლველი სურათი იყო, როცა მხცოვანი მგოსანი ხელჩაკიდებული მიჰყავდათ პატარა ქართველ ბავშვებს.

ლოჟებში. გარეშე პირთა ადგილებიც სულ დაჭერილი იყო.

მორიგ [illegible] დანიშნული იყო მოხსენება საბიუჯეტო კომისიისა გარეშე საქმეთა სამინისტროს აღრიცხვის შესახებ. დეპუტატ გოდნევის მოკლე მოხსენების შემდეგ ტრიბუნაზე ავიდა გარეშე საქმეთა მინისტრი. დარბაზში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა, დროგამოშვებით გაისმოდა თავშეკავებული ხმები: „მართალია, მრთალი, სწორეა, ვაშა“ ხანდახან მინისტრს სიტყვას აწყვეტინებდნენ. სათათბიროს ცენტრი და ოპოზიციის ნაწილი ხანგრძლივის ტაშის ცემით ეგებებოდა მინისტრის სიტყვას, მემარჯვენეებმა დაუსტვინეს, უკიდურესი მემარცხენენი სდუმდნენ. მინისტრის სიტყვის შემდეგ, სხდომა სამ საათზე შესწყვიტეს. აი, თვით სიტყვაც:

გარეშე საქმეთა მინისტრი

ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება და ნება დართო განემარტოს სათათბიროს საგარეო პოლიტიკის მიმდინარე საკითხები. დიდად ბედნიერი ვარ, რომ ეს ნებართვა მივიღე ამ ჟამად, როდესაც ზოგიერთი საგარეო საკითხი ძლიერ აღელვებს რუსის საზოგადოებას. რადგან პასუხი უნდა ვაგო ყოველ სიტყვისათვის, რომელსაც წარმოვსთქვამ ამ ტრიბუნიდან, ამიტომ მე ვერ ავყვები გრძნობას და ბევრ თქვენგანს ჩემი სიტყვა იქნება ვულცივად, საზოგადოების გუნების არაშესაფერისად ეჩვენოს. მაგრამ მაინც გთხოვთ მოისმინოთ ჩემი სიტყვა ისეთის ყურადღებით, როგორიც შეეფერება მიმდინარე პოლიტიკურ ამბების მნიშვნელობას. თითქმის სამის წლის წინად, როდესაც უმაღლესის ნებით მოწვეულ ვიყავ ჩემს საპასუხისმგებლო თანამდებობაზე, რუსეთს, გარეშე ომით და უფრო უმეტესად შინაგან შფოთით შერყეულს, ემუქრებოდა ახალი საფრთხე შორეულ აღმოსავლეთში. თქვენ გახსოვთ, რა ბეჯითად გვირჩევდნენ მაშინ, რომ მთელი ჩვენი ყურადღება მიგვექცია შორეულ აღმოსავლეთისთვის, მთელი ჩვენი ძალისთვისაც იქ მოგვეყარა თავი და გაჩქარებით მოვემზადებულიყავით საბრძოლველად ჩვენის მტრის წინააღმდეგ. მოიგონეთ აგრეთვე, რომ წარსულ ზამთარს ამავე ტრიბუნიდან მე განვაცხადე, რომ იაპონიასთანა და სხვა სახელმწიფოებთან შეთანხმების წყალობით, საზოგადო და კერძოდ რუსეთის მდგომარეობა წყნარ ოკეანეს ნაპირებზე უნდა მკვიდრად ჩაითვალოს მეთქი. მაშინ ბევრს თქვენგანს ჭკუაში არ დაუჯდა ჩემი ოპტიმიზმი. მაგრამ მე მაინც მგონია, რომ მას შემდეგ მომხდარმა ამბებმა გაამართლეს ჩემი ოპტიმიზმი და ეხლა შემიძლიან დარწმუნებით ვსთქვა, რომ შორეულ აღმოსავლეთში ამ ჟამად არავითარი გართულება აღარაა მოსალოდნელი. წინანდელ მრავალ შეთანხმებას სახელმწიფოთა შორის ეს არის ეხლა მიემატა კიდევ ახალი შეთანხმება იაპონიასა და შეერთებულ შტატებს შორის. ეს შეთანხმება ელტვის იმავე მიზანს, რომელსაც ელტვის ჩვენი საკუთარი შეთანხმება იაპონიასთან, ესე იგი: წყნარ ოკეანეს ნაპირებზე სამფლობელოების სტატუს-ქვოს დაცვას, საერთა შორისო ვაჭრობის თავისუფლების უზრუნველ-ყოფას და ჩინეთის მთლიანობის და დამოუკიდებლობის დაცვას. ამ ახალ შეთანხმების შედგენის შესახებ ორივე სახელმწიფომ დროზე გვაცნობა. ჯერ კიდევ ხელ-მოწერილი არ იყო ეს შეთანხმება, როდესაც ჩვენ სალმით მივეგებეთ ამ საერთა-შორისო აქტს, რომელიც ახალს გარანტიას წარმოადგენს შორეულ-აღმოსავლეთში მშვიდობიანობისა და აწინდელ საქმეთა მდგომარეობის დაცვისას.

თქვენ იცით, რომ იაპონიასთან შეთანხმებას ბუნებრივად მოჰყვა რუსეთის შეთანხმება ინგლისთან შუა აზიისა, სპარსეთისა, ავღანისტანისა და ტიბეტის შესახებ. ამ შეთანხმების თაობაზე ბევრს ლაპარაკობდნენ და მას კრიტიკას უკეთებდნენ როგორც რუსები, ისე ინგლისელები. მე არ შევუდგები მის დაფასებას, ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ ეს შეთანხმება წარმოადგენს აუცილებელ და ბუნებრივ დამატებას იაპონიასთან რუსეთის შეთანხმებისას. შევნიშნავ აგრეთვე, რომ ამ შეთანხმებამ გაუძლო მეტად სერიოზულ განსაცდელს. მის წყალობით, სპარსეთის შინაგან კრიზისს არ მოჰყვა ის საშიში შედეგი, რომელიც აუცილებლად მოჰყვებოდა, ინგლისსა და რუსეთს შორის რომ წინანდელი გამწვავებული განწყობილება ყოფილიყო. ჩვენს პოლიტიკის ერთად-ერთ მიზანს სპარსეთში წარმოადგენს—დაცვა ისტორიულ მეგობრობის ამ ქვეყანასთან და იმ დიდ სავაჭრო ინტერესებისა, რომლებიც რუსეთს აქვს უმთავრესად ჩრდილოეთ სპარსეთში. ამავე დროს ჩვენ სრულებით არა გვსურს სპარსეთის დამოუკიდებლობის და მთლიანობის დარღვევა, არც მის შინაგან საქმეებში ჩარევა, მაგრამ მეორეს მხრით ჩვენთვის ძლიერ დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ სპარსეთში მკვიდრი პოლიტიკური და სოციალური წესიერება დამკვიდრდეს. აი სწორედ ეს პრინციპები დაედო საფუძვლად ჩვენს შეთანხმებას ინგლისთან, რომელთანაც ჩვენ ვმოქმედობთ სრულის თანხმობით სპარსეთის საქმეებში. ინგლისი და რუსეთი პირდაპირ არ ერევიან სპარსეთის საქმეებში, მაგრამ როგორც მოსამზღვრე და სპარსეთის საქმეებში ყველაზე უფრო დაინტერესებულნი, ეს ორი სახელმწიფო მუდამ მზადაა დახმარება გაუწიოს და კეთილი რჩევა მისცეს სპარსეთს. ვმოქმედებთ რა სრულიად გულწრფელად და უანგაროდ, მტკიცე იმედი გვაქვს, რომ ჩვენი რჩევის წყალობით კეთილად დაბოლოვდება სპარსეთის შინაგანი ხანგრძლივი კრიზისი. რაც ეხლანდელი არეულობა მალე დასრულდება, ეს მით უფრო სასურველია ჩვენთვის, რომ ყველაზე ძლიერი არეულობა არის რუსეთის მოსამზღვრე ადერბეიჯანში, სადაც თვალსაჩინო ზარალი მოსდის ჩვენს ვაჭრობას, ჩვენს წარმოებას და ჩვენს ქვეშევრდომებს. ჩვენ ვიღებდით და ამას იქითაც მივიღებთ ყოველს ღონისძიებას ამ ინტერესების დასაცველად. მაშასადამე ჩვენმა შეთანხმებამ ინგლისთან უკვე გაგვიწია ორი არსებითი სამსახური: ხელი შეუწყო ჩვენის მდგომარეობის გამკვიდრებას შორეულ აღმოსავლეთში და გაგვიადვილა სპარსეთის საქმეებში არევ-ჩარევა. ამას გარდა, თუმცა ეს შეთანხმება განსაზღვრულ საქმეებს შეეხება, მაგრამ იგი სხვა მხრივაც მეტად ძვირფასია ჩვენთვის: მან მეგობრული და ნდომით სავსე ურთიერთობა დაამყარა ინგლისსა და რუსეთს შორის და ამით ხელი შეუწყო ორივ სახელმწიფოს საერთო მოქმედებას საერთაშორისო პოლიტიკის სხვა საკითხებშიაც. მაგალითად გამოდგება ბალკანეთის ეხლანდელი საკითხები.

(დასასრული სამშაბათს)

მგზავრის შენიშვნები

ბათუმიდან სტამბოლამდე

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

I*)

მეორე დღეს გავბედე და სომხის მღვდელს გამოველაპარაკე. ცოტა ფრანგული იცოდა. მასუკან გავიგე, რომ ის მთავარ-ეპისკოპოსი ყოფილიყო. ეჩმიაძინიდან მიდიოდა კათალიკოსის ამორჩევის შემდეგ. ჩემი ლაპარაკის საგანი ტერრიტორიის უქონლობა იყო. მან პირდაპირ მითხრა, სომხები მუშა ხალხი ვართ, ვაჭარი, მაგრამ ჩვენი სიდიადის მზე საუკუნოდ ჩაესვენაო. ვიქნებით ოთხ მილიონამდე და სულ გაბნეულნიო. ტერრიტორია რომ გვქონდეს, კიდევ მოვაწყობდით ეროვნულ ცხოვრებას, მაგრამ გაბნეული ხალხი საცოდავია. რა უნდა ვქნათ, სამუდამოდ, ასე საცოდავად უნდა დავრჩეთო! გამიკვირდა ასეთი პირახდილი ლაპარაკი. პატარა ერებს ჩვეულებად აქვთ, გადააჭარბონ ხოლმე თავიანთ ძალასა და სიმრავლეს.

რაკი ერთხელვე გავბედე სხვა ეროვნების ხალხთან ლაპარაკი, აღარც სპარსელი დავტოვე უყურადღებოდ. ისიც ჩემი მეზობელი იყო. ჩემს ზევით იწვა. გამოველაპარაკე და ვინობა ვკითხე. იგი აღმოჩნდა ბ-ნი რებიზადე, რომელიღაც სპარსულ გაზეთის კორესპონდენტი. მიდიოდა სტამბოლს და იქიდან ევროპაში, რომ ქვეყნისათვის ეცნობებინა სპარსეთის მდგომარეობა. ბევრი ვერა გავაგებინერა ორი მიზეზისა გამო: ფრანგული არ იცოდა კარგად და ზღვაცა სწყენდა, ვერ იყო კარგ გუნებაზედ. იმდენი ვაჟკაცობა კიდევ მოიკრიბა, რომ სათარ-ხანისა და მისი ჯარის სურათი მაინც მაჩვენა, აგრეთვე დიდებული პროცესსია ორი მოკლულ ქართველ რაზმელის დასაფლავებისა. კომპლიმენტიც მითხრა—„გურჯი კარგიაო“. პატარა ხანს შემდეგ ცოტათი მოიბრუნა სული და თვითონ დამიწყო ლაპარაკი. ძლივსა ვგებულობდი მის ფრანგულს. მისი ნალაპარაკევიდან მხოლოდ ის გავიგე, რომ სრული იმედი ჰქონია, კონსტიტუცია გაიმარჯვებსო, რუსი სპარსეთში ვერ შევა, არ შეუშვებენო. ბევრი ველაპარაკე ამ საგანზედ, მაგრამ ვერა გაიგორა და დავანებე თავი. არც ოსმალებსა და არაბებს სწყალობდა. თუმცა მუსულმანები ვართ, მაგრამ მაინც სხვა ხალხები ვართო. არაბები სემიტები არიან, თურქები მონგოლები, ჩვენ კი არიელებიო. ერთს დროს ჩვენ ეგვიპტესა, ინდოეთსა, საბერძნეთსა და რომს ვეომებოდითო. ჩვენი დიდი „ჩიხოსრო“ კი პირდაპირ ათინაში შევიდაო.

აქ ცოტა ფანტაზია წაუკრა ჩემმა მესაუბრემ, მაგრამ ეპატიება, რადგან აღმოსავლეთის მაჰმადიანის გონებას იქამდის მაინც მიუღწევია, რომ სჯულსა და ეროვნებას ერთმანეთში არ ურევს. უნდა ვიცოდეთ, რომ სჯული, რელიგია ისეთი ძლიერი ფაქტორია ადამიანთა ცხოვრებაში, იგი ისეთ საერთო მოწესრიგებასა ჰქმნის სხვა და სხვა ეროვნების ხალხთა შორისაც, რომ მისი დარღვევა საუკუნეთა განმავლობაში არის ხოლმე შესაძლებელი. მართალია, ერის სრული და ერთობრივი ცხოვრება მაინც სძლევს ხოლმე ბოლოს და ბოლოს რელიგიის ძალას, მაგრამ ეს ძლიერ განვითარებულ ერთა შორის არის შესაძლებელი. ეს იმიტომ ხდება, რასაკვირველია, რომ მთელ ეროვნულ ცხოვრების მოწესრიგება უფრო ორგანიულია და უფრო მჭიდრო, ვიდრე კერძო რელიგიური, ამიტომაც ეროვნული იდეა აჭარბებს სიცხოველითა და ძალით რელიგიურსა, მაგრამ ხშირად ისიც მომხდარა, რომ მთელი ერები დაუღუპავს რომელსამე სხვა ერის რელიგიის მიღებასა და გადუგვარებია იგი ეროვნულად. ეს სპარსელი კი არჩევდა ერთმანეთისაგან ეროვნულსა და რელიგიურ იდეასა და მეც ეს გამიკვირდა განუვითარებელ ერის საშუალო კაცისაგან. ვინ იცის, შეიძლება ეს დიდ რამესაც მოასწავებდეს.

9 ნოემბერს სინოპში მივედით, საკარანტინო ადგილზედ. იმ ღამეს არავინ მოსულა. მეორე დღეს მოვიდნენ ექიმები, დეზინფექცია გაუკეთეს გემსა და ნაპირზედ წაასხეს საწყალი გადასახლებული ბერძნები. ჩვენ, რასაკვირველია, პირველისა და მეორე კლასსის მგზავრებს ამას ვინ გაგვიბედავდა. გემზედ დაგვტოვეს, მაგრამ სამაგიეროდ ხუთი დღის განმავლობაში ათი ფრანკი უნდა მიგვეცა დღეში თვის გამოსაკვებად. სომხებს ეს არაფრად იამათ. დაიწყეს კაპიტანთან ლაპარაკი, მაგრამ კაპიტანმა ყვირილი მორთო — მე გემის კაპიტანი ვარ და არა მედუქნეო, თუ გინდათ ნურაფერსაც ნუ სჭამთ, რა ჩემი საქმეაო. ორი დღე რომ ილაპარაკოთ, მაინც ვერ შევსცვლი კარანტინის წესებსა და კომპანიის რეგლამენტსაო. მაშინ სომხები დაემუქრნენ—მთელ „მესსაჟერიი“-ს კომპანიას ბოიკოტს გამოუცხადებს მთელი სომხობაო! კაპიტანმა ყურიც არ გაიბერტყა. სომხებმა გაგზავნეს კაცი ნაპირზედ, იყიდეს საერთოდ ხორაგი და ხუთი დღის საგზალი დაიმზადეს. მათ მაგალითს სხვებმაც მიჰბაძეს, ვინც ერთად იყვნენ. გემის სუფრაზედ კი დავრჩით მე, ერთი იტალიელი და გონჯი ინგლისელი ქალი. მეტი რა გზა გვქონდა. იმ დღეს სადილად მეორე იტალიელიც დავპატიჟეთ. საინტერესო იყო ორი ამხანაგის ლაპარაკი.

— იცით,—ეუბნებოდა ერთი მეორეს—მე კავკასიაში ვიყავი და თათრებზე უკეთესი ხალხი არ მინახავს. პირიანი ხალხია. მე ხე-ტყის ფირმის წარმომადგენელი ვარ, თათართან თუ მქონია საქმე, გამიკეთებია, სომეხს ყოველთვის მოვუტყუებივარ, ქართველები კი ცოტანი არიან ვაჭრობის საქმეში, მაგრამ ერთი მათგანი, თავადი (გვარიც დაასახელა), თურმე ისეთი ოხერი ყოფილა, რომ სამი ევროპიელი კომპანია გაუკოტრებია! იმას როგორ ლა მივეკარებოდი.

მეც ხმა გავკმინდე, რაღაც მომაგონდა და მეჭაშნიკა. ცოტა არ იყოს, შემრცხვა.

— ეს კი, მაგრამ თათრები და სომხები რატომ ელეტდნენ ერთმანეთს? —ჰკითხა მეორემ.

— იმიტომ, რომ რევოლიუციის დროს თათრებს თათარი უნდოდათ მეფედ, სომხებს კი სომეხიო!—მიუგო სერიოზულად პირველმა.

მე, როგორც შემეძლო, ავუხსენი საქმის გარემოება, ავუწერე რევოლიუცია და მისი მომქმედნი კავკასიაში, ავუხსენი სომეხ-თათართა ელეტის მიზეზი, მაგრამ როგორც კედელს ცერცვი შეაყარო, ისე არ მიუდგა ჩემი ნალაპარაკევი იმის სმენასა და გონებას.

— მე იქ ვიყავი იმ დროს და შენ მასწავლიო,—მითხრა.

— მეც იქ ვიყავი-მეთქი,—ვუთხარი, მაგრამ მან ეჭვის თვალით შემომხედა და წავიდა თავის კაიუტაში. ევროპიელი კი არა, ტლანქი, უვიცი და აზიელზედ ნაკლები ჭკუისა ხარ მეთქი,—გავადევნე უკან ფიქრი და მეც წაველ მოსასვენებლად.

ხუთი დღე ვიდექით სინოპში. ძლიერ მოსაწყენია კარანტინი. ნამდვილად იციან, მაგალითად, რომ ხოლერიანი არავინაა, მაგრამ წესით მაინც დანიშნულ დრომდე უნდა იდგე რეიდზედ. ღამე ვკითხულობდით, ვთამაშობდით ჭადრაკსა და ვმუსაიფობდით. დღე ხან გვეძინა და ხან დავდიოდით იქით-აქეთ გაგიჟებულებივით, რომ დრო როგორმე შეგვემოკლებინა. ინგლისელი ქალიც კი შემოვიერთეთ მე და ორმა იტალიელმა და ველაპარაკებოდით, თუმცა კი ვაგრძნობინეთ, რომ საარშიყოთ არ გამოდგებოდა და ტყუილად იწუხებდა თავს. დავუმეგობრდა აგრეთვე ერთი სომხურ გაზეთის კორესპონდენტი, სტამბოლელი, რომელიც აგრეთვე ეჩმიაძინიდან სახლში ბრუნდებოდა. დიდი სიმპატია გამომიცხადა, რომ გაიგო, ქართველი ვიყავი. ისიც კი მითხრა, ერეკლე მეფე სომხების იმედი იყოო. ეს რომ სთქვა, მაშინვე მომაგონდა აღა-მაჰმად-ხანი, დარჩობებული თავი და ტფილისის ბედი. კინაღამ არ გავაღე პირი და წამოვროშე სიმართლე, მაგრამ მომაგონდა შოთას სიტყვები: „ზოგჯერ თქმა სჯობს, არა თქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდებისო“, და დავჩუმდი. რაღაც მადლობის მსგავსიც კი წავილუღლუღე.

ჩემი უმთავრესი გასართობი კი ერთ ქართველ მუსულმანთან ლაპარაკი იყო და ის ფიქრები, რომელსაც მასთან მუსაიფი მიძრავდა. ეს მუსულმანი, არტილლერიის სკოლის სტუდენტი, ერთმა ბერძენმა გამაცნო კარანტინის მესამე დღეს, გემზედ. ბათუმიდან მას ვამჩნევდი, მაგრამ მე ოსმალო მეგონა და ხმას არა ვსცემდი. მისი გვარი **ყარალაშვილი** იყო. აჭარელია შთამამავლობით. დედა წაეყვანა ბათუმში სტამბოლიდან და უკანვე ბრუნდებოდა სტამბოლში. ქართული ცოტა იცოდა.

— რვა წლის ვიყავი, ბათუმიდან რომ წამომიყვანეს—მიამბო მან: ახლა სტამბოლში ვწავლობ. ეხლა ვამხელ „პანაღ“ ქართველებს, თორემ წინად ვინ გაამხელდა სულთანის შიშით. მე წერილიც ვერ მიმეწერა შიშით სახლში, რადგან მაშინვე სკოლიდან გამომაგდებდნენ, რომ დავენახე წერილის წერის დროს. ეხლა დრო შეიცვალა და, ბათუმში რო ვიყავი, ვიყიდე „დედა-ენა“, „ბუნების კარი“ და სხვა ქართული წიგნები, წერა-კითხვაც ცოტა ვისწავლე და ძლიერ მომწონს ქართული ენა, განსაკუთრებით ქართული ან-ბანი, რადგან ადვილი სასწავლოა. ახლა დედას სულ ქართულად მივსწერ წერილებს სტამბოლში ბევრნი არიან ქართველები, მაგრამ აქამდის ეშინოდათ ქართველობისა, ვერ ამხელდნენ, რომ „ბათუმელები“ იყვნენ, რადგან სულთანს არაფრად უყვარდა ქართველობა და სდევნიდა. ეხლა კი პრინც მეჯიდ ეფენდის წყალობით ჩვენ დიდი პატივი გვაქვს. მეჯიდ ეფენდის ცოლი ქართველი იყო, ნათესავებიც თავისთანა ჰყავს პრინცსა და აღარ გვიჭირს რა.

შემდეგ, სტამბოლში იგივე მიამბო იოსებ ჯაფარიძემ (იუსუფ-ზეჯიბეიმ), რომელიც ცოლის ძმაა სულთნის შვილის მეჯიდ ეფენდისა (ამ ჯაფარიძეზე შემდეგ კიდევ ველაპარაკებთ).

ყარალაშვილს (შევქეთ ეფენდის) კიდევ ბევრ რამეებზედ ველაპარაკე კარანტინის მოსაწყენ დღეთა განმავლობაში. იგი გულით ქართველია თუმცა არ იცის, რა არის საქართველო და რას წარმოადგენს იგი სხვა ერთა შორის. მითხრა:

— კარგი იქნება სტამბოლში ჩვენთვის ერთი პაწა სკოლა გაიხსნას; თუმცა ჩვენთან „ფაფასები“ დადიან (კათოლიკე მღვდლები), მაგრამ „გონჯ“ ქართულს ლაპარაკობენ და „გონჯი“ საქმე იქნება, რომ „გონჯი“ ქართული ისწავლოს კაცმა და არა წმინდაო.

შევქეთ ეფენდი გულით თუმცა ქართველობდა, მაგრამ უკვე სრულიად გადაგვარებული იყო. საშინელ ტანჯვას განიცდის ადამიანი, როდესაც გულიდან ჯერ კიდევ სრულიად არ ამოვარდნია თავის ეროვნების გრძნობა, თანაც კი აღარ იცის, როგორ გამოხატოს იგი. აგრეთვე ისიც იტანჯება, ვინც სცდილობს ასეთ ადამიანს ეს გრძნობა განუღვიძოს და განუცხოველოს. ერთის ან ორის მოკლე მუსაიფის დროს მე და შევქეთ ეფენდიც ვიტანჯებოდით ლაპარაკის დროსა, და ეს ტანჯვა საშინელი, უენო, რაღაც საცოდავზედ უსაცოდავესი იყო. ორივეს გვინდოდა ერთმანეთისათვის გვეთქვა ჩვენი გულის პასუხი და ორივეს თანაც რაღაც გვაშორებდა ერთმანეთს.

ყოველ დილას ვხვდებოდი ხოლმე შევქეთ ეფენდის, ველაპარაკებოდი დიდ ხანს, მაგრამ ვგრძნობდი, რომ ჩვენ შორის საუკუნოდ იყო ხიდი ჩატეხილი. რომ ეს ხიდი ისევ გადებულიყო, საჭირო იქმნებოდა ჩემი დაბადება ხელ-ახლად და შევქეთის მსგავსი აღზრდა—ან და მისი. მე ვარ ქართველი, რომელსაც პირდაპირი კავშირი მაქვს საქართველოს მთელ წარსულ კულტურასთან, სარწმუნოებასთან და ენასთან. ისიც ქართველია, მაგრამ ერთ დროს უმთავრესი ძაფი გაწყვეტილა მის ახლო წინაპართა და საქართველოს მთელი ცხოვრების შორის, ისიც ოსმალეთის მთელს ორგანიზმს მიჰკედლებია და, თუმცა იცის, რომ ქართველია, მაგრამ მაინც ვეღარ ახერხებს ამ „ქართველობას“.

რამდენჯერ შემხვედრია ასეთი ტიპები თვით საქართველოში. ენის უცოდინარობა პირველი დამახასიათებელია ასეთ ადამიანისა. მინახავს ქართველი მუსულმანი, ქართველი კათოლიკე, ქართველი მართ-მადიდებელიც, ზოგი გარუსებული, ზოგი გათათრებული, ზოგი კიდევ უთვისტომო, და როდესაც მათთან მილაპარაკნია ქართულად, ვერ შეგვითანხმებია ჩვენი სული და გული. სავსებით რომ შეუთანხმდე ვისმეს ან გააგებინო ყველაფერი, რაც გწადია, ამისათვის განსაკუთრებით რომელიმე ენის ზედ-მიწევნით ცოდნაა საჭირო, როცა ადამიანმა არც ერთი ენა არ იცის ხეირიანად, იგი მაშინ უთვისტომოა. როდესაც მან უცხო ენა იცის მიწევნით, მაშინ მისთვის ეს ენა გამხდარა სამშობლო ენად; სჩანს, რომ მას ამ ენით მოლაპარაკე ხალხთან ჰქონია უფრო მჭიდრო კავშირი და მიტომ არის თქვენგან დაშორებული. უენოდ კი აზროვნება არ შეიძლება. როცა ცუდად ლაპარაკობთ რომელსამე ენაზედ, მაშინ აზროვნების მექანიზმიც ცუდად მუშაობს, და ეს არის უმთავრესი მიზეზი, რომ გრძნობით სავსეც რომ იყოთ, გადაგვარებულ თანამემამულესთან მუსაიფი ტანჯვად გექცევათ და მალე გრძნობთ მისგან განუზომელ სიშორეს.

ასე იყო მე და შევქეთ ეფენდის საქმეც. ბევრს ვეცადეთ, მაგრამ ერთმანეთს სული და გული ვერ გადავუშალეთ. ერთ დღეს, მახსოვს, ქართულ სიმღერებზედ მკითხა რაღაც, მეც ვისარგებლე და სიმღერით მინდოდა გამეღვიძებინა რამე მის გულში. რადგან ბათუმში ყოფნის დროს ხშირად ისმოდა გურული, ანუ ქობულეთური სიმღერები. მაგრამ ვერც ამან გასჭრა. „იავ-ნანამ“ ვერა ჰქნა რა, და როცა გავათავე სიმღერა და დავაცქერდი ჩემს მეგობარს—მისი თვალები უაზროდ შორს გაიყურებოდა. მალე საგანი შესცვალა და კარანტინზე[illegible]ყო ლაპარაკი...

მეც ფიქრებში გავერთე [illegible] ათასჯერ გადაღეჭილ ლაპარაკის შემდეგ. ვფიქრობდი ხალხთა ვერაგობაზედ. ყოველი ხალხი, როცა სხვას დაიპყრობს, ისე მოქმედობს, თითქოს სოციოლოგიური თეორია ზედმიწევნით იცოდეს და მხოლოდ პრაქტიკულად იყენებდეს განყენებულ კანონებსაო. მან ძალიან კარგად იცის, რომ მარტო მოუხეშავ, ტლანქ ძალას არ შეუძლიან ხალხის გადაგვარება. მოუხეშავი ძალა არ არის სოციალური ძალა. მან იცის, რომ ენა უპირველესი მოწესრიგობაა ერთი ერის ადამიანთა შორის თანხმობისა, რომ იგი უპირველესი სოციალური მოვლენაა განსაზღვრულ ხალხის ცხოვრებაში და ამიტომაც სცდილობს ეს ენა დააკარგვინოს, ერს და თვისი შეათვისებინოს. აგრეთვე სჯული ისეთი პირველ-ხარისხოვანი სოციალური მოვლენაა, რომ რაკი ერთი ერი მეორის სჯულს მიიღებს, იგი ნახევრად ამ ერის მსგავსად ხდება, იგი იღებს მისი კულტურის უმეტეს ნაწილს, მრავალ ზნე-ჩვეულებას და სხვას. სჯულისა და ენის დაკარგვის შემდეგ კი ერი ჰქრება, იგი ჰკარგავს უფლებას არსებობისას და ინთქება სხვა ერის ორგანიზმში.

ასეთი ზომა იხმარეს ოსმალებმა ახალციხეში და დასავლეთ-სამხრეთ საქართველოში და ამიტომაც დღეს მრავლის-უმრავლესს ახალციხელსა, აჭარელსა და სხვა მაჰმადიანებს გული, სული, ზნე-ჩვეულება და მრავალი ნიშანდობლივი მხარე ქართველობისა დაჰკარგვია და ჩვენი აღარა ესმისრა. ნახევარზედ მეტი ენაც დაუკარგავს. თუ არ ვეცადეთ, მეორე ნახევარსაც დაჰკარგავს და მაშინ სრულიად დაგვეკარგება ეს საუკეთესო ნაწილები საქართველოსი.

კარანტინის მეხუთე დღე იყო, როდესაც არა სასიამოვნო ამბავი გავიგეთ. გემი უნდა დაბრუნებულიყო კერასუნდში, ორდუში, სამსუნში და იქიდან უნდა წასულიყო სტამბოლს და არა სინოპიდან პირდაპირ. რაღას ვიზამდით, დავმორჩილდით ბედს. მაგრამ საბედნიეროდ ცუდი ზღვა შეგვხვდა და გემი მარტო ორდუში და ფაცაში გაჩერდა. სხვა პორტებში არ შეუვლია. ორდუში გავიგე, რომ იქ თურმე ბევრი გადმოსახლებული ქართველია, მაგრამ გემი ცოტა ხნით გაჩერდა და ვეღარ მოვასწარი ნაპირზედ გადასვლა და მათი ნახვა.

ფაციდან წავედით სტამბოლს, მაგრამ გზაში ახალი უბედურობა შეგვემთხვა. მესამე კლასში გარდაიცვალა ერთი ბერძნის ქალი. მგზავრებს შეეშინდათ, ვაი თუ სტამბოლში ხოლერა ეგონოთ და უკან დაგვაბრუნონ სინოპში მეორე კარანტინისთვისაო. მიცვალებული კი არავის შესცოდებია. საცოდავმა იქვე დასტოვა სამი პატარა ბავშვი და ქმარი. პირუტყვებივით იყვნენ გაჩერებულნი. არც კი ტიროდნენ. სახლში რომ მომკვდარიყო საწყალი ქალი, რასაკვირველია — იტირებდნენ. გემისა, ზღვისა და გამოცდილ კარანტინისა ისე ეშინოდათ, რომ ვერც კი მოეხერხებინათ თავიანთ საშინელ სევდის ცრემლებით გამოხატვა. საწყალი ქალი იქვე მომზადებულ ყუთში ჩასდეს და უცდიდნენ ბოსფორში შესვლას და ექიმების ვიზიტს.

მივედით ბოსფორში. ექიმებმა მკვდარი წაიღეს იქვე ნაპირზედ, ძველ ბერძნის მონასტერში, გასჭრეს და დაამტკიცეს, რომ ხოლერით არ იყო მკვდარი. თავისუფლად წავედით სტამბოლში.

გზაში კიდევ ახალი ქართველი მაჰმადიანი გავიცანი, მოლა აბდულო **ბარუძე**. სტამბოლში მიდიოდა სასწავლებლად. ქართული მან კარგად იცოდა, მაგრამ, სამაგიეროდ, მეტისმეტი ზრდილობით, რაც ვუთხარი, ყველაფერზე დამეთანხმა და მეც ვერა გავუგერა მისი. მალე იმასაც გამოვემშვიდობე და წაველ დასაძინებლად.

---

*) იხ. „დროება“ N 22.

საღამოზედ სტამბოლში უნდა მივსულიყავით. ღამეძინა და ღმერთმა იცის, რა ობოოდობა არ მომელანდა ნერვებ-აშლილსა და დაქანცულს. მთელი ჩემი წარსული, აწმყო, მომავალი პლანები, ყველა ჩემი საფიქრებელი, სამწუხარო და სასიხარულო საგანი ერთმანეთში აირია და გამოიხატა რაღაც დაუსრულებელსა და უთავ-ბოლო სიზმარში. სიზმარი წინადაც მინახავს, მაგრამ არ დამხსომებია და არც ყოფილა ისეთი უცნაური, როგორც ეს უკანასკნელი. ალბად სტამბოლის მიახლოვების ფიქრი თან ჩავიტანე ძილში, თან ჩავიტანე ყოველივე ის, რაც შეკავშირებული იყო ჩემ მოგზაურობასთან და ამიტომ მომელანდა ეს უცნაურობა. სიზმარი კოშმარით დასრულდა. ვითომ ვაგონში ღრმა ძილის შემდეგ გამომეღვიძა და ერთი თვალი ველარ გავახილე, დამსილი მქონდა. დავრბოდი და ვეძახდი ჩემს ამხანაგს იტალიელს, მაგრამ მასაც ეძინა და გაპარულიყო. ამ დროს ერთი პატარა რუსის ბიჭი მიიხმო დედამ და რაღაც უთხრა. მან მოირბინა და ელვასავით მეცა, დიდი გრძელი მახათი დამიტაკა ბარძაყში. მე რუსის სიმხეცის ლანძღვა-თრევა დავიწყე, ამ წყევლა-კრულვაში კი გამომეღვიძა და რა ვნახე? თურმე ცერი მქონდა ჩაჭირებული თვალში და ისა მტკიოდა საშინლად...

უკვე სტამბოლს ვუახლოვდებოდით. დავინახეთ ის სამხედრო გემებიც, რომელიც რიზა-ფაშამ ილდიზს დაუყენა პირის-პირ... მალე გემიდან გადმოვედით. თუმცა პასპორტიც გვთხოვეს და ბარგიც გასინჯეს დამოჟნაში, მაგრამ მაინც თავისუფლად გაგვიშვეს. მეც ავიყვანე ეტლი და ჩემი მცირე ბარგით სასტუმროსაკენ გავემართე.

ჩემი თორმეტი დღის მოგზაურობა ბათუმიდან სტამბოლამდე ამით დასრულდა. უბედურ კაცს ქვა აღმართში მოეწევაო, სწორედ ეს არის, თორემ რაღა თორმეტის დღის სამგზავრო შემხვდა, სწორედ წრეულს, ხოლერობის დროს, მაშინ როდესაც სხვა დროს ამ გზას ორ დღე ნახევარში გაივლის კაცი.

უსახლ-კარო.

ახალი ამბავი

ტფილისი

✦ **თეატრის გახსნა და სეზონის დაწყება.** დღეს იხსნება შეკეთებული თეატრი და იწყება სეზონი ქართულ წარმოდგენებისა. ხალხი ისე დაიმზა უწარმოდგენობით, რომ ბილეთები „სამშობლოზე“ თითქმის პირველ დღესვე გაიყიდა. კურთხევა თეატრისა მოხდება დღეს დილით, ასე 11 საათზე. საღამოთი-კი გაიმართება ქართული წარმოდგენა.

✦ **სამღვდელოების დეპუტატთა კრება.** 12 დეკემბერს ტფ. სასულიერო სემინარიის სადგომში დაიწყო კრება ქართლ-კახეთის სამღვდელოების დეპუტატებისა. გამოცხადდა 38 დეპუტატამდე. პირველ დღეს კრებამ თავმჯდომარედ აირჩია მღვ. ს. რცხილაძე და ორი მდივანი; გუშინ-კი შეუდგა განსახილველ საქმეთა გარჩევას: კრება ერთ კვირამდე მაინც გასტანს.

✦ **პეტიცია ნამესტნიკის შესახებ.** როგორც „ბაკ. ეხო“-ს პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ, ოდესელ „ჭეშმარიტ რუსებს“ ხელმწიფესთან გაუგზავნიათ უქვეშევრდომილესი პეტიცია, რომელშიაც თხოულობენ კავკასიის ნამესტნიკის გადაყენებას.

✦ **გენერალი შატილოვი და ჭეშმარიტი რუსები.** როგორც ვიცით, სახელმწიფო სათათბიროში ამჟამად ირჩევა შეკითხვა კავკასიის საქმეების შესახებ. შეკითხვა სათათბიროში მემარჯვენეებმა შეიტანეს. შეკითხვის შინაარსი უკვე დაიბეჭდა ჩვენს გაზეთში. შეკითხვამ მემარჯვენეებისა ბევრი რამ გამოარკვია. მათ შორის კავკასიის ნამესტნიკის თანაშემწეს გენერალ შატილოვს, როგორც „რუსკოე სლოვო“ გადმოგვცემს, საყურადღებო ცნობები მიუწოდებია სამინისტროსთვის მემარჯვენეთა შესახებ. შატილოვს სამინისტროსთვის მიუწერია: ბოლო დროს „ჭეშმარიტ რუსთა კავშირისაგან“ აუარებელი „წერილები მომდიოდა, მთხოვდნენ მფარველობას. რადგან არც ერთ წერილზე პასუხი არ გავეცი, პურიშკევიჩი „მავრაზმელების“ ლიტერატურას მიგზავნიდა ჯარში გასავრცელებლადაო. მე ლიტერატურა უკანვე დავუბრუნე, რადგან ვხელმძღვანელობდი მინისტრის ცირკულიარით, რომლითაც სამხედრო პირებს აკრძალული აქვთ პოლიტიკაში ჩარევა- ამასთან პირადად მე მომხრე არა ვარ მცხოვრებთა ერთი ნაწილი მეორეზე ამემხედრებინაო. შატილოვს აგრეთვე უყურადღებოდ დაუტოვებია „მთავარ ანგელოზ მიხეილის კავშირის“ წერილი, რომლითაც მას ნამესტნიკის შესახებ ცნობები მოუთხოვნია. დასასრულ შატილოვს სამინისტროსთვის უთხოვნია: ან სამსახურიდან დამითხოვეთ, ან გამანთავისუფლეთ კერძო პირების შეკითხვებისგან, რომელნიც ჩემს სამსახურში ერევიან.

✦ **საღამოს კურსები.** სახალხო უნივერსიტეტის მიერ ავლაბარში დაარსებული საღამოს კურსები გაიხსნება ხვალ, 15 დეკემბერს. მასწავლებლებად მოწვეულნი არიან ბ-ნი გაჩეჩილაძე და იოსელიანი. სწავლა საღამოს 5 ნახევარ საათიდან დაიწყება (როზოვოი მოედანი, ავლაბარში).

✦ **ფასკუნჯი.** დღეს, 14 დეკემბერს, გამოვა „ფასკუნჯის“ მეექვსე ნომერი შემდეგის შინაარსით: ა. შანშიაშვილი. „დავშორდით სოფელს“.—დუტუ მეგრელი „პატარა სიმღერები“—ბ. ახოსპირელი „შემოდგომა“.—ილია ჭავჭავაძე „კაკო“.—ს. მგალობლიშვილი „ორი მეზობლის ისტორია“.—გ. ჯავახიშვილი „ეროვნული მხარე აკაკის პოეზიისა“-—სიტყვა „დაუვიწყარი დღესასწაული“.—აკაკის დღესასწაული, სიტყვები და ლექსები: ა) წერა-კითხვის საზოგადოების, ბ) სიტყვა-კაზმული მწერლობის საზოგადოების, გ) ქართველ არტისტების, დ) განდეგილის ლექსი.—ქართული თეატრის გახსნა.

✦ **სახალხო უნივერსიტეტი.** 12 დეკემბერს მოხდა სხდომა ტფ. სახალხო საუნივერსიტეტო გამგეობისა. გამგეობამ განიხილა პროექტი ინსტრუქციისა ქართულ, რუსულ, სომხურ და ოსების სექციების სახელმძღვანელოდ: ინსტრუქციით სექციებს არ ენიჭებათ დამოუკიდებლობა. ყოველივე საკითხი შუამდგომლობითის წესით სექციებმა განსახილველ-გადასაწყვეტად უნდა წარუდგინონ ხოლმე გამგეობას. გამგეობა დიდი მოტრფიალე გამოდგა ცენტრალიზმისა. პროექტი მცირე ცვლილებებით მიიღო გამგეობამ და დაადგინა, მომავალ საზოგადო კრებას წარუდგინოს დასამტკიცებლად. ამავე კრებაზედ გამგეობამ გადაათვალიერა საზოგადოების წესდება, რომელშიაც შეტანილ იქმნა რამდენიმე ცვლილება. მაგ. სამუდამო წევრისთვის ერთ დროულ გადასახადად 100 მანეთის ნაცვლად 25 მანეთი დაწესდა და სხვ. ესეც საზოგადო კრებას წარედგინება. გამგეობამ დაადგინა, საზოგადო კრება დაინიშნოს 21 დეკემბრისათვის.

✦ **სისტემატიური ლექციები.** კავკასიის სამკურნალო საზოგადოება დღეს, 14 დეკემბერს, საზოგადოების სადგომში (პუშკინის ბიბლიოთეკის სადგომი) მართავს სახალხო ლექციას ადამიანის ანატომიისა და ფიზიოლოგიის შესახებ. ლექციები სისტემატიური იქნება. რუსულად საღამოს 6-დან 7 საათამდე ლექციას წაიკითხავს ექიმი ნ. დ. ხატისოვი, ხოლო ქართულად 7—8 ს. ექიმი ვ. დ. ლამბაშიძე. სამკურნალო საზოგადოება თხოულობს, ამ ლექციებს ბავშვები არ დაესწრნენ.

✦ **ადმინისტრაციის მოხელენი სამართალში.** გუშინ ვწერდით, რომ სენაკის მაზრის უფროსი მიტკევიჩი სამართალში მისცესო. როგორც „ტ. ლ.“ გადმოგვცემს, მიტკევიჩი სამსახურიდანაც დაუთხოვიათ. მას ჰბრალდება უფლების გადამეტება, ცრუ მოხსენებების წარდგენა, ფულის ძალით დატყუება და სხვა. ამასთან ერთად სამართალში მიუციათ საპოლიციო დარაჯთა ყოფილი აფიცერი, ცნობილი კ. ცომაია, რომელსაც მექრთამეობა და სხვა ამისთანა საქმეები ჰბრალდება.

✦ **საჯარო ვაჭრობა.** წელს იანვარში ბაქოში მოხდა საჯარო ვაჭრობა, რომელზედაც გაიცა ნავთიანი ადგილები. ამ ვაჭრობას დამტკიცება დღემდე არ ეღირსა. ეხლა ხმა დადის, რომ მთავრობა ახალ ვაჭრობასა ნიშნავსო.

✦ **კავ. სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება.** 12 დეკემბერს, თავ. პ. ალ. გრუზინსკის თავმჯდომარეობით, მოხდა კრება კავკ. სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებისა. ამ დღეს დანიშნული იყო არჩევნები ვიცე-პრეზიდენტისა და ამით აიხსნება, ალბად რომ კრებაზე 45 წევრი გამოცხადდა. კრებამ მოისმინა მოხსენება ტფ. საბაღოსნო სასწავლებლის დროებით მზრუნველის ე. ო. იოსელიანისა მოხსენება. საბაღოსნო სკოლის მდგომარეობას შეეხებოდა. ახალ მზრუნველს (ამ ზაფხულს დაავალეს მზრუნველობა) სკოლა მეტად საშწუხარო მდგომარეობაში დახვედრია. საკვირველია, რომ სკოლა ისეთ პირობებში, როგორშიაც დღეს არის კიდევ ბოგინობს. რიგი და წესი არავითარი ყოფილა, მრავალი ნივთები სკოლაში არა სჩანს თურმე და რაც სჩანს, ისიც მიმტვრეულ მომტვრეული და გაფერანებული ყოფილა. მოხსენებამ ხანგრძლივი კამათი გამოიწვია, უმრავლესობის აზრით სკოლის დაქვეითების მიზეზი უკანასკნელ წლების განმათავისუფლებელი მოძრაობა იყო. ყველამ ვიცოდით სკოლის ეგეთი მდგომარეობა, ეგ ახალი ამბავი არ არის, წარსულს ნუღა გამოუდგებითო. კრებამ დაადგინა: იოსელიანის მოხსენება გადასცეს განსაკუთრებულ სასკოლო კომისიას, რომელიც ისარგებლებს ამ მასალით და შეიმუშავებს სკოლის გამოკეთების გეგმას. შემდეგ საყურადღებო მოხსენება წაიკითხა აგრონომმა ტიმოფეევმა. მოხსენება შეეხებოდა საცდელ მინდვრების მოწყობას. რადგან მოხსენების განხილვა შემდეგ კრებისათვის გადაიდო შინაარსს მერე გავაცნობთ მკითხველებს. დასასრულ მოხდა არჩევნები ვიცე-პრეზიდენტისა. დამსწრენი არჩევნების დროს ორად გაიყვნენ. 23 ხმით ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობაზე კანდიდატად დასახელებულ იქმნა თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილი. ხოლო 20 ხმით თავ. ალ. მ. არგუთინსკი. კენჭის ყრის შემდეგ თავ. არგუთინსკის ამოუვიდა 22 თეთრი და 20 შავი, ხოლო თავ. ჩოლოყაშვილს 21 თეთრი და 21 შავი. ამ რიგად, ვიცე-პრეზიდენტად არჩეულ იქმნა ა. მ. არგუთინსკი.

✦ ტფ. ქალაქის გამგეობამ გუშინ სთხოვა ტრამვაის დირექციას გაუგზავნოს 200 უფასო ბილეთი 1909 წლისათვის.

✦ 12 დეკემბერს დილით ბატონი კურბაგისა და დოლაძის მამულს შუა, სოლოლაკის გორაზე, პოლიციამ ნახა უცნობი კაცის გვამი, რომელიც ვიღაცებს მხეცურად მოუკლავთ. მოკლულს მუცელი ხანჯლით ჰქონდა გამოდადრული, კნა მოჭრილი და ტანზე მრავალი სასიკვდილო ჭრილობა. როგორც გამოძიებით გამოირკვა, მოკლული აღმოჩნდა რაჭის მაზრის მცხოვრები სერგო ბაქრაძე. მკვლელობა პირადის მტრობით უნდა იყოს ჩადენილი. პოლიციას მკვლელნი დაუპატიმრებია. დაპატიმრებულთაგან ერთი შუშელი ალექსანდრე ავაქიანცია და მეორე ოსმალეთის ქვეშევრდომი ღევონდ უღურხანიანცია.

✦ 12 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე ხოჯივანქის სასაფლაოზე უცნობებმა რევოლვერით მძიმედ დასჭრეს ტფ. მცხოვრები პავლე ვოდოპრანოვი. ვოდოპრანოვი ორჯელ ყოფილა გადასახლებული არხანგელსკის გუბერნიაში და ორჯელ ვე გამოქცეულა ტფილისში. გარდა ამისა დაჭრილ ვოდოპრანოვს ჰბრალდება მეფურნეზე თავდასხმა და გაცარცვა.

რედაქტორ-გამომცემელი

ივანე სოზიაშვილი.

განცხადებანი

ექიმი ჟ. მ. ჩიქოვანი
გადავიდა ელისაბედის ქუჩაზე, ვორონცოვის ძეგლის მახლობლად საკუთარს სახლში, N 15: ავადმყოფებს იღებს 12—2 საათამდის ყოველ დღე. (25—591—22)

აცეტილინის ფანარი
ახალი ტიპისა.
საუკეთესო მასალიდან გამადიდებელ შუშით და ალუმინის რეფლექტორით, რომელიც დიდ სინათლეს აძლევს, 60 ნაბიჯზე ანათებს, საჭიროა ბ-ნთ აფიცრებისა, მონადირეებისა და ტურისტებისთვის.
აუარებელი ხმარებაში. ასეთივე სისტემა ველოსიპედებისთვის. ფასი 5 მან. კალცია, კარბიდი მასთვის ასეთივე თვისებისა 30 კაპ. გირვანქა. იყიდება მხოლოდ კ. კ. ბობილევთან, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. (5—ხალ.—4)

1 მანეთიდან ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილათ 1 მანეთიდან
ხელის მაშინები 25 მანეთიდან
იყიდება იმპერიის ყველა ქალაქში, განსაკუთრებით საკუთარ მაღაზიებში.
ტფილისში სამი განყოფილებაა: 1. გოლოვინის პროსპექტზე; 2. ვოგზლის ქუჩაზე, სახლი ენფიანჯიანცისა; 3. ავლაბარში, კახეთის ქუჩაზე, სახლი ჯალალოვისა. (10—ნ.—5)

პროვოდნიკის
ამხანაგობა
რიგაში
1888
საფაბრიკო საწყობი ამიერ-კავკასიისთვის ტფილისში
სოლოლაკის ქუჩა, № 4.
იყიდება ნაღდად და ცალობით:
დარეზინებული წყალ გაუვალი ზედა ტანისამოსი სულ ახალ სიზღვარ-გარეთულ ფასონების საუკეთესო ინგლისურ მატერიებისა. ხოლო იაფ ფასმდის.
დარეზინებული წამოსასხმები და პალტოები ბ-ნთ აფიცერთათვის;
დარეზინებული მატერია სხვა და სხვა მიზნისთვის;
რეზინის ღრუბელი;
სავარცხლები რქის რეზინისგან;
ცალობით ვაჭრობა დიდ-ბაზაზე საუკეთესო პალტოების
„პროვოდნიკი“-სა

გალოშები
„პროვოდნიკისა“
18 97
პატენტ-მიღებული
საუკეთესო მთელ ქვეყნიერობაზე
პირველი ადგილი უპირავეთ სიმკვიდრით, და ზედმოხმარებულ ფასონის სილამაზით საქონლის ღირსებით.
უეჭველი თავმდებობა საქონლის სამაგალითო სიმტკიცისა და სიმაგრისა ყოველ წყვილზე.





გალოშები პროვოდნიკისა
1888
წარმომადგენლები მთელ კავკასიისთვის
მიუნხ და ვეის
ტფილისი და ბაქო.
(50—ნ.—32)

სტამბა „სინათლე“. დიდი ვანქის ქუჩა, № 12.